



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030457547409017

№ 04-826/ო

14 / ნოემბერი / 2017 წ.

„ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების – „დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია“, „დიაბეტის მართვა“, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციანტთა მკურნალობა“, ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა“, „ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფა“, „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა“ - მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით, ზოგიერთი ღონისძიების გატარების შესახებ“ სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 18 სექტემბრის N04-676/ო ბრძანებაში დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის №190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. „ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების – „დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია“, „დიაბეტის მართვა“, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციანტთა მკურნალობა“, ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა“, „ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფა“, „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა“ - მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით, ზოგიერთი ღონისძიების გატარების შესახებ“ სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 18 სექტემბრის N04-676/ო ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) ბრძანებას, მე-7 პუნქტის შემდეგ, დაემატოს შემდეგი რედაქციის 7<sup>1</sup> პუნქტი:

„7<sup>1</sup>. წინამდებარე ბრძანებით გათვალისწინებული ღონისძიებების დასრულების შემდეგ, სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტი (ვ. ჩხარტიშვილი) უზრუნველყოფს მიღებული შედეგების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას ეკონომიკური დეპარტამენტისათვის, როგორც ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული პროგრამების ფარგლებში, სააგენტოს ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაციის შედეგების.“;

ბ) ბრძანებას, მე-8 პუნქტის შემდეგ, დაემატოს შემდეგი რედაქციის 8<sup>1</sup> პუნქტი:

„8<sup>1</sup>. წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული მონიტორინგის დასრულება ამ ბრძანების მე-3 პუნქტით განსაზღვრულმა პირებმა უზრუნველყონ არაუგვიანეს 2017 წლის 15 დეკემბრისა.“.

2. სააგენტოს დირექტორის აპარატმა (ნ. ჩანადირი), უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების განთავსება სააგენტოს ოფიციალურ ვებ გვერდზე – [www.ssa.gov.ge](http://www.ssa.gov.ge)

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს  
დირექტორი, საქართველოს შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის  
მინისტრის მოადგილე



ზაზა სოფრომაძე